



## ძვირფასო მკითხველებო!

ეს გახლავთ ელექტრონული ბიულეტენი, რომელსაც მედიის განვითარების ბალტიის ცენტრი (BCME) ამზადებს, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების დამოუკიდებელი მედიის განვითარების ხელშეწყობის მიზნით. მასში, თავს ვუყრით ყველა საგრანტო განაცხადს და ასევე, სხვა ფინანსურ შესაძლებლობებს უკრაინის, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის და ბელორუსის მედიებისათვის.

გვსურს, რომ ამ ბიულეტენმა შეგიმსუბუქოთ დონორების დაფინანსებაზე წვდომა, გაგიმარტივოთ ინფორმაციის მოძიება და ფინანსების მოკრება/ფანდრაიზინგი გახადოს უფრო ეფექტური. კატეგორიაში „დაფინანსების სიახლეები“ იპოვით უახლეს საგრანტო განაცხადებს.

BCME იმედოვნებს, რომ ეს პუბლიკაცია შეიტანს საკუთარ წვლილს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მედიებისა და დონორების დიალოგში, რეგიონის მედია ლანდშაპტის მეთი მრავალფეროვნებისთვის.

თუ კი გაქვთ სურვილები, რეკომენდაციები ან უბრალოდ შთაბეჭდილებები ბიულეტენთან დაკავშირებით, გაგვიზიარეთ მისამართზე: [info@baltic.media](mailto:info@baltic.media).

ვეცდებით მეტს თქვენთვის !

პატივისცემით,  
Funds4Media ბიულეტენის შემდგენები

1. ჟურნალისტიკის სკოლის სტიპენდიები
2. MOOC Training: როგორ ამოვიცნოთ ყალბი ინფორმაცია ?
3. NED-ის გრანტები დამოუკიდებელი მედიისთვის
4. საგამოძიებო ჟურნალისტიკის ფონდის გრანტები
5. ახალგაზრდული ონლაინ მედი-Thon UNICEF-ისაგან
6. ფოტოკონკურსი - 212 Photography Istanbul
7. სტიპენდიები საგამოძიებო ჟურნალისტიკის კონფერენციისთვის
8. ნიმანის ფონდის სტიპენდიები ჟურნალისტებისათვის
9. სტიპენდიები სახელმწიფო პოლიტიკის საკითხებზე მომუშავე ჟურნალისტებისათვის
10. რეიგან-ფასელის სასტიპენდიო პროგრამა
11. სტიპენდიები ადამიანის უფლებებზე მომუშავე პროფესიონალებისთვის
12. Thomson Reuters-ის ფოტო კონკურსი
13. ადამიანის უფლებებისადმი მიძღვნილი დოკუმენტური ფილმების ფესტივალი
14. დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი
15. Oxygen Project იღებს სინოფსისებს ეკოლოგიის საკითხებზე მომუშავე ჟურნალისტებისაგან
16. ინგლისური ენის უფასო კურსი ჟურნალისტებისათვის
17. სტიპენდია მედიაში დასაქმებული ქალებისთვის
18. ონლაინ კურსები რუსულენოვანი ჟურნალისტებისათვის

## 1. ჟურნალისტიკის სკოლის სტიპენდიები

**გეოგრაფია** - სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვა, უკრაინა

Centre for Media Pluralism and Freedom (CMPF) მედია პლურალიზმის და თავისუფლების ცენტრი, ჟურნალისტებისა და მედია პროფესიონალებისათვის მე-9 სკოლას უწევს ორგანიზებას. „მედია COVID-19-ის პანდემიის პირობებში - ონლაინს კოლა შედგება 19 ოქტომბრიდან 20 ნოემბრამდე პერიოდში.

სკოლის მოდულები მოიცავს: გამოხატვის თავისუფლება; მედიის თავისუფლება; COVID-19 ევროკავშირში და მის მიღმა; მედია ბაზრის მდგრადობა და ალტერნატიული ბიზნეს მოდელები; დეზინფორმაციასთან ბრძოლის ტექნოლოგია, მონაცემთა ჟურნალისტიკა.

CMPF სკოლის დასრულების შემდეგ გაიცემა სამი გრანტი 1000 ევროს ოდენობით ტრანსნაციონალური საგამოძიებო პროექტებისთვის.

სკოლის ღირებულება 300 ევრო. არის სულ 25 სტიპენდია.

**დანვრილებით:** <https://bit.ly/2F94ZMX>

**ვადა:** 11 სექტემბერი 2020 წ.

## 2. MOOC Training: როგორ ამოვიცნოთ ყალბი ინფორმაცია ?

**გეოგრაფია** - მსოფლიო

აღნიშნული ტრენინგ კურსის მონაწილეები შეისწავლიან თუ რატომ არის ყალბი ინფორმაცია მნიშვნელოვანი პრობლემა და როგორ არის ეს სიახლეები შექმნილი გარკვეული გზავნილების გასავრცელებლად. ეს კურსი დაეხმარება მათ დაეუფლონ უნარებს, რომელთა მეშვეობით შეძლებენ ყალბი ინფორმაციის გარჩევას. კურსი შედგება ონლაინ და განკუთვნილია ჟურნალისტებისათვის, რომლებიც დაინტერესებული არიან ყალბი ინფორმაციის თემატიკით. მონაწილეობისთვის აუცილებელია სპეციალური ფორმის შევსება.

**დანვრილებით:** <https://bit.ly/2F64C50>

**ვადა:** 12 სექტემბერი 2020 წ.

### 3. NED-ის გრანტები დამოუკიდებელი მედიისთვის

**გეოგრაფია** - მსოფლიო

NED იღებს დამოუკიდებელი მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების საგრანტო განცხადებს მთელი მსოფლიოდან იმ პროექტების მხარდასაჭერად, რომელთა მიზანი დემოკრატიის და დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერაა.

მონაწილეობა შეუძლიათ დამოუკიდებელ მედია ორგანიზაციებს, საზოგადოებრივ ჯგუფებს და ასოციაციებს. თანხის მოცულობა დამოკიდებულია მასშტაბსა და პროექტის სფეროზე. საშუალოდ გრანტი გათვლილია 12 თვეზე და 50 000 დოლარზე.

**დანვრილებით:** <https://bit.ly/2EOgDgM>

**ვადა:** 14 სექტემბერი 2020 წ.

### 4. საგამოძიებო ჟურნალისტიკის ფონდის გრანტები

**გეოგრაფია** - მსოფლიო

აღნიშნული გრანტის მისაღებად განაცხადების წარდგენა შეუძლიათ საგამოძიებო ჟურნალისტებს.

საგამოძიებო ჟურნალისტიკის ფონდის გრანტების მიზანია, მხარი დაუჭიროს ჟურნალისტებს, რომლებიც მუშაობენ კორუფციის და თანამდებობის ბოროტად გამოყენების თემებზე.

გრანტის მაქსიმალური ოდენობაა – 10 000 დოლარი. თანხის ნაწილი გაიცემა განაცხადის დამტკიცებისთანავე, მეორე ნაწილი ნამუშევრის დასრულებისთანავე.

განაცხადის წარდგენა შეუძლიათ ჟურნალისტებს რომლებიც მუშაობენ ამერიკასთან კავშირში არსებულ თემებზე. მასალები უნდა იყოს გამოქვეყნებული ინგლისურ ენაზე.

**დანვრილებით:** <https://bit.ly/2BZYMBT>

**ვადა:** 14 სექტემბერი 2020 წ.

## 5. ახალგაზრდული ონლაინ მედი-Thon UNICEF-ისაგან

**გეოგრაფია**- მსოფლიო

აღნიშნულ ონლაინ ღონისძიებაზე მონაწილე არიან 16-დან 24 წლამდე ახალგაზრდები, რომლებიც აწარმოებენ კონტენტს.

UNICEF-ის მიერ ორგანიზებული მედი-Thon გაიმართება 23-24 სექტემბერს. მისი მიზანია – შეიქმნას კონტენტი იმ პრობლემების შესახებ, რომელსაც დღეს ახალგაზრდები ეჩვენებიან და მეორე, გარემოს უკეთესობისკენ შეცვლის იდეებზე მსჯელობა.

მონაწილეები გამოცდილი მენტორებისაგან შეისწავლიან უნარებს თანამედროვე სტორითელინგისთვის. ასევე, გამოაქვეყნებენ საკუთარ ნამუშევრებს Voices of Youth-ის და სხვა პლატფორმებზე.

მონაწილეობისთვის აუცილებელია ინტერნეტთან წვდომა და ინგლისურის ან ესპანურის თავისუფლად ფლობა.

**დანვრილებით:** <https://bit.ly/2DstG6G>

**ვადა:** 15 სექტემბერი 2020 წ.

## 6. ფოტოკონკურსი - 212 Photography Istanbul

**გეოგრაფია** - მსოფლიო

ფოტოკონკურსი - 212 Photography Istanbul იღებს ნებისმიერი ტექნიკით შესრულებულ ნამუშევრებს ნებისმიერ თემაზე. თითოეული განმცხადებლისაგან დასაშვებია 5-10 ფოტოს მიღება. ფოტოებს თან უნდა ახლდეს მცირე აღწერილობა ინგლისურ ენაზე და ავტორის რეზიუმე.

გამარჯვებული მიიღებს ფულად პრემიას 5 000 ევრომდე, სერტიფიკატს, ნამუშევრის პროფესიულ შეფასებას. ნამუშევრები ასევე გამოქვეყნდება ჟურნალში 212 Magazine.

**დანვრილებით:** <https://212photographyistanbul.com/en/>

**ვადა:** 20 სექტემბერი 2020 წ.

## 7. სტიპენდიები საგამოძიებო ჟურნალისტიკის კონფერენციისთვის

**გეოგრაფია** - მსოფლიო

Investigative Reporters and Editors (IRE) კონფერენცია გაიმართება 21-დან 25 სექტემბრამდე ონლაინ. ონლაინ კონფერენციაზე დასწრების შესაძლებლობა აქვთ მოქმედ ჟურნალისტებსა და სტუდენტებს. ღონისძიება თავს მოუყრის გამომძიებელ ჟურნალისტებს მთელი მსოფლიოდან. ძირითადი მომხსენებელი იქნება ჟურნალისტი რონან ფაროუ

სტიპენდია მოიცავს IRE-ს უფასო წევრობას (სტანდარტული ფასი სტუდენტებისათვის 25 დოლარი, პროფესიონალებისთვის - 70 დოლარი) და კონფერენციაზე რეგისტრაციის საფასურს (50 დოლარი სტუდენტებისთვის, 175 – პროფესიონალებისთვის).

**დანვრილებით:** <https://bit.ly/2XvAo2x>

განაცხადების მიღება გრძელდება გამოყოფილი ბიუჯეტის ამონურვამდე.

## 8. ნიმანის ფონდის სტიპენდიები ჟურნალისტებისათვის

**გეოგრაფია** - მსოფლიო

ნიმანის ფონდი ჟურნალისტებს სთავაზობს მოკლევადიან ვირტუალურ სტიპენდიებს კვლევითი პროექტების განსახორციელებლად, ჟურნალიტიკის დონის ასამაღლებლად.

პროექტები შეიძლება იყოს დაკავშირებული პროგრამირებასთან, დიზაინთან, საფინანსო სტრატეგიებთან და ა.შ. მიმდინარე წლის თემა - რასობრივი სამართლიანობა და საზოგადოებრივი ჯანდაცვა.

განაცხადების შეტანა შეუძლიათ გამომცემლებს, პროგრამისტებს, ვებ-დიზაინერებს, მედია ანალიტიკოსებს და ჟურნალისტებს. პროექტების მასშტაბიდან გამომდინარე, პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 20 კვირამდე. სტიპენდიანტები მიიღებენ წვდომას ჰარვარდის უნივერსიტეტის რესურსებთან, სამეცნიერო ცენტრთან და ბიბლიოთეკასთან.

ტუკი პროგრამის მსვლელობისას მათ დამსაქმებელი ფინანსურად არ დაუჭერს მხარს, პროგრამის მონაწილეები კვირაში მიიღებენ 2 000 დოლარს.

**დანვრილებით:** <https://bit.ly/3ILD86u>

**ვადა:** 25 სექტემბერი 2020 წ.

## 9. სტიპენდიები სახელმწიფო პოლიტიკის საკითხებზე მომუშავე ჟურნალისტებისათვის

**გეოგრაფია** - მსოფლიო

სტიპენდიის მისაღებად განაცხადების შევსება შეუძლიათ ჟურნალისტებს, მეცნიერებს და სხვა დაინტერესებულ პირებს, რომლებსაც სურთ სახელმწიფო პოლიტიკის საკითხებზე მუშაობა

ვუდროუ უილსონის საერთაშორისო ცენტრი (Woodrow Wilson International Center for Scholars) აცხადებს მიღებას 9თვიან სასტიპენდიო პროგრამაზე, ვაშინგტონში.

სტიპენდიანტები განახორციელებენ კვლევებს, იმუშავენ მათი ინტერესის სფეროში შემავალ პროექტზე, ექნებათ ურთიერთობა პოლიტიკური წრის წარმომადგენლებთან, უილსონის ცენტრის თანამშრომლებთან. ცენტრი იღებს განაცხადებს ისეთი პროექტების თაობაზე, რომლებიც ეხება ამერიკასა და მსოფლიოში არსებულ პრობლემებს.

სტიპენდიის სრული მოცულობა - 90 000 აშშ დოლარი

**დანვრილებით:** <https://bit.ly/3bCHd8B>

**ვადა:** 1 ოქტომბერი 2020 წ.

## 10. რეიგან-ფასელის სასტიპენდიო პროგრამა

**გეოგრაფია** - მსოფლიო

NED-ის მიერ ორგანიზებული, რეიგან-ფასელის სახელობის სასტიპენდიო პროგრამა (Reagan-Fascell Democracy Fellows Program), მონაწილეებს საშუალებას აძლევს მეტი გაიგონ დემოკრატიის და მის გაძლიერებაში საკუთარი წვლილის შესახებ.

აღნიშნულ სასტიპენდიო პროგრამაში ჩართვა შეუძლიათ საკითხით დაინტერესებულ ჟურნალისტებს მთელი მსოფლიოდან.

პროგრამის მონაწილეები დაესწრებიან დემოკრატიის განვითარების კვლევის ფორუმს ვაშინგტონში. პროგრამა შედგება 2021 წლის 1 მარტიდან 31 ივლისის ჩათვლით ან 2021 წლის 1 ოქტომბრიდან 2022 წლის 28 თებერვლის ჩათვლით. მონაწილეებისთვის აუცილებელია ინგლისურის კარგად ფლობა.

სტუდენტები მიიღებენ ყოველთვიურ სტიპენდიას, სამედიცინო დაზღვევას და ავიაბილეთების ხარჯის ანაზღაურებას.

**დანვრილებით:** <https://bit.ly/33rTKt7>

**ვადა:** 1 ოქტომბერი 2020 წ.

## 11. სტიპენდიები ადამიანის უფლებებზე მომუშავე პროფესიონალებისთვის

**გეოგრაფია** - მსოფლიო

აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად იწვევენ ჟურნალისტიკის, საერთაშორისო ურთიერთობის და იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულებს.

ორგანიზაცია Human Rights Watch (HRW) უძღვება კონკურსს ალან და ბარბარა ფინბერგის სახელობის სტიპენდიის მისაღებად. სტიპენდიანტები მიღებენ შესაძლებლობას ერთი წლის განმავლობაში იმუშაონ HRW-ის ნიუ-იორკის ან ვაშინგტონის ოფისში. ამ პროცესში ისინი დაკავდებიან მსოფლიოში ადამიანის უფლებების დაცვის მონიტორინგით, ადგილზე წარმოებული კვლევებით, მოამზადებენ ანგარიშებს და მასალებს მედიისთვის.

სტიპენდია გრძელდება ერთი წლის განმავლობაში. იწყება 2021 წლის სექტემბერში. სტიპენდიის ოდენობა შეადგენს 60 000 დოლარს.

კანდიდატებს უნდა ჰქონდეთ ადამიანის უფლების მიმართულებით მუშაობის გამოცდილება და ამ სფეროში კარიერის გაგრძელების სურვილი. დამატებით უნდა ფლობდნენ შემდეგ უნარებს: ანალიტიკური აზროვნება, კვლევების განხორციელების გამოცდილება, ფლობდნენ ინგლისურს სრულყოფილად. დამატებითი ენების ცოდნა განიხილება, როგორც უპირატესობა.

**დანვრილებით:** <https://bit.ly/2ENI5v3>

**ვადა:** 9 ოქტომბერი 2020 წ.

## 12. Thomson Reuters-ის ფოტო კონკურსი

**გეოგრაფია** - მსოფლიო

Thomson Reuters-ის ფონდი და Omidyar Network იწვევენ კონკურსს "COVID-19: ფართო სურათი" (COVID-19: The bigger picture).

საკონკურსოდ მიიღება ფოტომასალები, რომლებიც ასახავენ პანდემიის გავლენას ადამიანზე. განსაკუთრებით მისასაღებელია უცნობი ისტორიები, რომლებიც კავშირშია COVID-19.

კონკურსის სამი გამარჯვებული ჩაერთვება ფოტოჟურნალისტების მასტერკლასში, რომელიც ორგანიზებულია Thomson Reuters-ის მიერ. ასევე, შეძლებენ ფონდის ახალი ამბების გუნდთან ერთად იმუშაონ ფოტორეპორტაჟზე, რომელიც მოგვიანებით გამოქვეყნდება.

**დანვრილებით:** <http://covid19-biggerpicture.trust.org/>

**ვადა:** 28 ოქტომბერი 2020 წ.



## 13. ადამიანის უფლებებისადმი მიძღვნილი დოკუმენტური ფილმების ფესტივალი

**გეოგრაფია** - მსოფლიო

People in Need, ჩეხეთის საზოგადოებრივი ორგანიზაცია, ყოველწლიურ ფესტივალში მონაწილეობის მიზნით, იწყებს განცხადების მიღებას. ადამიანის უფლებებისადმი მიძღვნილი, დოკუმენტური ფილმების ფესტივალი 2021 წლის 4-13 მარტს პრაღაში გაიმართება.

პროგრამაში შედის სამი კონკურსი და მრავალი თემატური კატეგორია. ფილმების შერჩევას, კომიტეტი განიხილავს როგორც ადამიანის უფლებების კუთხით წარმოჩენილ თემას, ისე ნამუშევრის მხატვრულ ღირებულებებს. ნამუშევრები უნდა შეესაბამებოდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

სრულმეტრაჟიანი ან მოკლემეტრაჟიანი (არანაკლებ 40 წუთისა),  
მოკლე დოკუმენტური ან ანიმაციური ფილმები ბავშვებისათვის,  
ინტერაქტიული ფილმები ვირტუალური რეალობისთვის,  
ინგლისურენოვანი ან ინგლისური სუბ-ტიტრების მქონე ფილმები,  
2019-2020 წლებში გადაღებული ფილმები

ფესტივალის ორგანიზატორებთან შეთანხმების საფუძველზე, დასაშვებია დაუსრულებელი ფილმების მიღებაც

**დანვრილებით:** <https://bit.ly/2PwgBeR>

**ვადა:** 1 სექტემბერი 2020 წ

## 14. დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი

**გეოგრაფია** - მსოფლიო

დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ავტორებს, რომლებიც ადამიანის უფლებების თემაზე მუშაობენ.

საერთაშორისო დოკუმენტური ფილმების ფესტივალი Docudays UA, რომელიც ორგანიზებულია ადამიანის უფლებების უკრაინა ჰელსინკის კავშირის მიერ, გაიმართება კიევში 2021 წლის 26 მარტიდან 4 აპრილის ჩათვლით.

საკონკურსო პროგრამა მოიცავს ორ საერთაშორისო კატეგორიას:

DOCU/WORLD – 30 წუთზე მეტი ხანგრძლივობის ფილმებისთვის

DOCU/SHORT – 30 წუთზე ნაკლები ხანგრძლივობის ფილმებისთვის.

და ერთ ნაციონალურ კატეგორიას Docu/Украина.

აღნიშნულ კატეგორიებში გამარჯვებული ფილმების ავტორები მიიღებენ ფულად ჯილდოს 1 000 დოლარის ოდენობით. ასევე, გაიცემა ჟიურის სპეციალური პრიზი, ანდრეი მატროსოვის სახელობის პრიზი და მაყურებლის არჩევანი. ჯილდოს ოდენობა - 1 000 დოლარი.

**დანვრილებით:** <https://bit.ly/3fw1ay6>

**ადრეული დედლაინი** – 20 ნოემბერი, საფინალო დედლაინი – 10 დეკემბერი.

## 15. Oxygen Project იღებს სინოფსისებს ეკოლოგიის საკითხებზე მომუშავე ჟურნალისტებისაგან

**გეოგრაფია** - მსოფლიო

Oxygen Project იღებს განაცხადებს, რომლებიც ეხება სასარგებლო წიაღისეულის ღრმანყოფილებას- ოკეანეების ეკოლოგიის ახალ გლობალურ პრობლემას.

ეკოლოგიის თემაზე მომუშავე ჟურნალისტებს შეუძლიათ წარადგინონ სინოფსისები და მიიღონ ანაზღაურებადი შესაძლებლობა გამოაქვეყნონ მასალა. შეთავაზებებში შედის: ახალი ამბების ფორმატი, დეტალური ანალიტიკური სტატიები, გამოძიება და ა.შ.

მზა მასალის ზომა უნდა შეადგენდეს 800-დან 2 000 სიტყვამდე. მასალა უნდა შეიცავდეს მინიმუმ 2-3 ციტატას ორიგინალი ინტერვიუდან. განაცხადები მიიღება ინგლისურ და ესპანურ ენებზე, 1 დეკემბრამდე ან ვიდრე არ ამოიწურება პროექტის ბიუჯეტი.

**დანვრილებით:** <https://bit.ly/32ZdjHk>

## 16. ინგლისური ენის უფასო კურსი ჟურნალისტებისათვის

**გეოგრაფია** - მსოფლიო

პენსილვანიის უნივერსიტეტი გთავაზობთ მასობრივ ღია ონლაინ-კურსს «ინგლისური ჟურნალისტებისათვის», რომელიც ხელმისაწვდომი იქნება პლატფორმაზე Coursera 24 აგვისტოდან. რეგისტრაცია შეუძლია ყველა მსურველს.

კურსი შედგება ხუთი ნაწილისაგან და შემუშავებული აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ იმ ჟურნალისტებისათვის, რომლებიც ვერ ფლობენ ინგლისურს მშობლიური ენის დონეზე და არიან დაინტერესებული პროფესიული უნარების განვითარებაში.

კურსი გათვლილია დამოუკიდებელ სწავლაზე, საშუალო მოცულობა არის 42 საათი. რეგისტრაცია გრძელდება.

**დანვრილებით:** <https://www.coursera.org/learn/journalism>

## 17. სტიპენდია მედიაში დასაქმებული ქალებისთვის

**გეოგრაფია** - მსოფლიო

მედიაში დასაქმებულ ქალთა საერთაშორისო ფონდი (IWWMF), გთავაზობთ ბაფეტის სახელობის გრანტებს, რომელთა მიზანია ქალი ჟურნალისტების ამბიციური იდეების მხარდაჭერა. პანდემიის გამო ფონდი არ უჭერს მხარს პროექტებს, რომლებიც მგზავრობასთან არის დაკავშირებული.

მიიღება ამბიციური ჟურნალისტური პროექტები; თემები რომლებიც არ არის ფართე აუდიტორიისთვის ცნობილი, თუმცა მნიშვნელოვანია მსოფლიო საზოგადოებისთვის; ერთობლივი პროექტების ორგანიზება; კარიერული ზრდა და პრაქტიკული უნარების განმტკიცება;

კანდიდატებს უნდა ჰქონდეთ ჟურნალისტიკაში მუშაობის არანაკლებ სამწლიანი გამოცდილება.

განაცხადები მიიღება ღია კარის პრინციპით

დანვრილებით: <https://bit.ly/33qWHds>

## 18. ონლაინ კურსები რუსულენოვანი ჟურნალისტებისათვის

**გეოგრაფია** - მსოფლიო

ორჰან ჯემალის სახელობის მედიაუსაფრთხოების აკადემიის ონლაინ კურსები შემუშავებულია პროფესიონალი და სამოქალაქო ჟურნალისტებისათვის, ფრილანსერებისათვის, ბლოგერებისა და ონლაინ აქტივისტებისათვის, რომლებიც იყენებენ რუსულს სამუშაო ენად. სწავლება უფასოა, საჭიროა მხოლოდ რეგისტრაცია.

აკადემიის 14 ტრენერი 9 ქვეყნიდან უძღვებიან შემდეგ ვიდეო კურსებს:

რისკების ანალიზი და სტრუქტურირებული ანალიტიკური ინსტრუმენტები

ძირითადი ფიზიკური უსაფრთხოება რისკის ზონაში

საინფორმაციო და კიბერ უსაფრთხოება

ფსიქოლოგიური და ემოციური უსაფრთხოება, მუშაობა ტრავმით

იურიდიული დაცვა მედია რისკებისაგან

აკადემიის სტუდენტები, რომლებიც გაივლიან ყველა მოდულს და წარმატებით ჩააბარებენ ტესტს, მიიღებენ სერტიფიკატს ფონდისგან „სამართლიანობა ჟურნალისტებისათვის“

დანვრილებით: <https://jfj.academy/#about>

© Baltic Centre for Media Excellence, 2020

ბიულეტენი შედგენილია დიდი ბრიტანეთის საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, უსასყიდლოდ გავრცელების საფუძველზე.

**შემდგენები:**

ალინა რუდინა, არშალუის მურადიანი, ევგენია ოლინიკი, კატრინა ტეტერე-ფროლევა, ნაილია ალიევა, ვიქტორ გოტისანი.

მასალების ქართულენოვანი თარგმანი უზრუნველყოფილია BCME -ს წევრი ჟურნალისტიკის რესურსცენტრის მიერ- JRC. BCME თარგმანის კორექტულობაზე პასუხისმგებლობას არ იღებს. ინფორმაცია დონორების და საგრანტო პროგრამების შესახებ არ არის ამოწურვადი. შემდგენლები იტოვებენ უფლებას შეარჩიონ მეტად მნიშვნელოვანი ასპექტები ბიულეტენში გამოსაქვეყნებლად. BCME გირჩევთ საპროექტი განაცხადების, დონორებთან კომუნიკაციისას ან სხვა საკითხების დროს, იხელმძღვანელოთ ბიულეტენში მითითებული პირველადი წყაროებით.

**ბიულეტენში გამოყენებულია მასალები შემდეგი წყაროებიდან:**

- cmpf.eui.eu
- salto-youth.net
- ned.org
- fij.org
- voicesofyouth.org
- 212photographyistanbul.com
- ire.org
- nieman.harvard.edu
- wilsoncenter.org
- boards.greenhouse.io
- covid19-biggerpicture.trust.org
- my.oneworld.cz
- docudays.ua
- mailchi.mp
- coursera.org
- iwmf.submittable.com
- jfj.academy